


1987 წლის 9 მაისი. თბილისი, რასაუბლიკის მოედანი — დიდ საგაგალო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 42-ე წლის-  
თავისაღმი მიქვნილი ზეიმი. (საქინფორმისა და ვარლამ გენგიურის ფოტოები)

პროლეტარებო ყველა ყვეყნისა, შეერთდით!



საპარტულო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რასაუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 მაისი, კვირა, 1987 წ. № 91 (9502) • ზბსი 3 კაბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გამარჯვებულთა უთაქოვლოების ას სირაუქე უსდაბა ზეიმს!

გუშინ მთელს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო და დღეს დამთავრდება რბენა-ესტაფეტების მასობრივი ღონისძიებები. როგორც ადრე ვიუწყებოდით, შეჯიბრებებში მხოლოდ სპორტსმენები როდი მონაწილეობენ, სტარტზე გამოდიან ასეულ ათასობით რბენის მოყვარულები და ისინიც კი, მანამდე საერთოდ რომ არ შეგობობდნენ სპორტთან. გუშინ ერთ მთლიან სტადიონს მოგაგონებდათ მთელი ჩვენი რესპუბლიკა. საქმე იმაშია, რომ გამარჯვების დღეს მძლეონობის გარდა სპორტულ ბაზებს მიაშურეს სპორტის სხვადასხვა სახეობების მოყვარულებმა, გაიმართა აგრეთვე მასობრივი ღონისძიებები სპორტის ეროვნულ სახეობებში და, ცხადია, ორგანიზატორებს არც ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ხალხური თამაშები გამოჩინიათ მხედველობიდან.

„ლელო“ ზონალური და საკუთარი კორესპონდენტების მიერ გუშინ მოწოდებული წინასწარი მონაცემებით მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების გარეშე არ დარჩენილა რესპუბლიკის თითქმის არც ერთი რეგიონი. ბევრგან მოსახლეობამ სწორედ გუშინ ჩაიბარა საზეიმოდ ახალი სპორტული მოედნები. თბილისის იპოდრომზე კი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ცხენთამოცდის სეზონი. სახაგრომრეწვა იპოდრომზე სეზონისწინა გრანდიოზული სამუშაოები ჩაატარა და გუშინ აქ შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა მყურებელმა ბევრი სიახლე იხილა.



სტილ-ჩეისი თბილისის იპოდრომზე! ეს ფრაზა საცხენოსნო სპორტის მოყვარულებისთვის ახლა უცხო არ უდერს. ჩვენს იპოდრომზე უკვე რამდენჯერმე ჩატარდა შეჯიბრება ცხენოსნობის ამ ულამაზეს და ურთულეს სახეობაში. გუშინ სტილ-ჩეისის განახლებულ ტრასაზე შვიდი მხედარი გამოვიდა საასპარეზოდ. გაიმარჯვა ზუგდიდის საცხენოსნო სპორტული კლუბის მხედარმა ბადრი ხახიაშვილი.



გამარჯვების აღმსარებელი მიქვნილი გუშინდელი ღონისძიებების ფოტოგრაფორებმა იხილეთ 80-2 და 80-3 გვერდებზე.

## იარაღი-მესამედ

სასტუმრო ოთახი არაფრით მოგაგონებდათ მოჭადრაკისას. არც დაფა ჩანდა სადმე, არც პარტიების ტექსტები... მხოლოდ გვიან შევინახე დიდი ლარაკი წარწერით „ჭადრაკის დედოფალს“. ეს იყო და ეს.

საუბარი ნონა გაფრინდაშვილთან ქალაქ იერით დაიწყო.

— იერი საფრანგეთის პატარა საკურორტო ქალაქია, კობტა, კოპწია, წყნარი, დაახლოებით სამასი ათასი მცხოვრებით. 1985 წლიდან იგი ჭადრაკის მოყვარულთა ყურადღებას იპყრობს, — ამბობს ქალბატონი ნონა. — მე უკვე მესამედ გახლდით ამ ტრადიციულ შეჯიბრებაზე. წლებულს უცაბედად

გავემზადებე. ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ერთი ადგილი განთავსდებოდა და მე შემოთავაზეს. სიამოვნებით დავთანხმდი.

● თავად შეჯიბრებაზე რას გვეტყვი?

— იგი შევიცარიული სისტემით, თერთმეტ ტურად ჩატარდა. შევიცარიული ტიპის ტურნირებში, მოგესხენებათ, თანაბარქულიანი მოჭადრაკეები ხვდებიან ერთმანეთს. ამიტომ იგი მოულოდნელობებითაა ხოლმე აღსავსე (არავინ იცის, ვინ ვის შეხვდება) და თავიდან ბოლომდე ერთნაირი შემადგენლობაა.

იხ. გვ. 2 33



**გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში სტარტი აიღო მშვიდობის მე-40 ტრადიციულმა საერთაშორისო ველო-ობლამმა. ამჯერად ასპარეზობის ადამიტი, რომელზედაც პიკასოს ცნობილი „მშვიდობის მტრედია“ გამოსახული, მონაწილე ქვეყნების საერკორდო რაოდენობა გამოდის — 26. რბოლის ტრასა კვლავ საბერლინის გლრ-ს, პოლონეთისა**

და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გადის.

გაიმართა რბოლის პროლოგი, ლიდერობა ხელთ იგდეს საბჭოთა ველოსიედიტებმა — 25 წუთით და 46 წამით; მათ 15 წამით ჩამორჩებიან გლრ-ის სპორტსმენები, მესამე ადგილზე მყოფი პოლანდიელთა გუნდი კი — წუთით.

**უკრაინის „დავაში“**

საზრანგეთის ქალაქ რეიმის ფიცარნაზე გრძელდება ევროპის პირველობის მონაწილეთა გამოსვლები ქალოსნობაში. 100 კილოგრამამდე წონის ათლეტთა „დავაში“ ოქროს მედალი 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონმა უნგრელმა ანდორ სანიმ მოიპოვა. მან და რუმინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნიკუ ვლადმა ორქიდეში თანაბარი წონა — 422,5-422,5 კგ დაძლიეს, მაგრამ ვლადი მეტრეზეზე მძიმე აღმოჩნდა და მას მეორე ადგილი ერგო. მესამე საპრიზო ადგილი შედეგით 410 კგ ვლადიმერელმა მსოფლიო ექსემპიონმა პავლე კუხნიცოვმა დაისაკუთრა. ცალკეულ მობრბეებში ვლადმა 195 კგ აიტაცა, სანიმ — 190, კუხნიცოვმა 182,5. აკვრასი უნგრელმა 232,5 კგ დაძლია, რუმინელმა და კუხნიცოვმა 227,5-227,5.

## გაზეთ „თბილისი“ პრიზუა

ოთხი წელია, რაც თბილისის საილქნო კლუბი აწყობს თბილისის ზღვის თახის გათამაშებას მცირე საკრეისერო ნავებს შორის. დღეს 18 საათზე სტარტი მიეცემა (თუ, რა თქმა უნდა, უამინდობამ არ შეუშალა ხელი) თახის მეხუთე გათამაშების პირველ რბოლაში. სულ ჩატარდება 16 რბოლა. ოქტომბრის ბოლოს გამოვლინდება გამარჯვებული ეკიპაჟი, რომელიც დაჯილდოვდება გაზეთ „თბილისის“ პრიზით.



# იარაღი — მასაჟი

დსასრულად

რთობით უნდა იბრძოლო. პირობები იქ მუდამ შესანიშნავია. შეჯიბრება ამჯერადაც კარგად იყო ორგანიზებული. გამოვიდა სპეციალური ბიულეტენიც. ბოლო ტურის შემდეგ (ტურნირი იმავე დღეს იხსნებოდა) სწრაფად შეაჯამეს ჩვენი შედეგები, დაბეჭდეს და ყველა მონაწილეს გადმოგვცეს. ცალკე კვლევის თითოეული მოჭადრაკის პირადი შეხვედრების შედეგები. ჩვენი ტურნირები საკმაოდ კარგად არის ხოლმე ორგანიზებული, მაგრამ, რა დასამალოა, ამ მხრივ ფრანგებს და საერთოდ, ევროპელებს ბევრად ჩამოვრჩებით.

● იერში უკვე შესამდე მოიპოვეთ პირველობა. წლებადღე ტურნირში ბრწყინვალე შედეგი გქონდათ — 10 ქულა 11 შესაძლებელიდან. ჩანს, საკმაოდ ადვილად გაიმარჯვეთ.

— ისევე როგორც წინა ტურნირები, ესეც იოლად მოვიგე. განსაკუთრებით რთულ, დაძაბულ პარტიას ვერც კი დაგისახელებთ. ყოველგვარი გართულებების გარეშე ვივარდები. თითქმის ყველა მეტოქე ყუიმისთვის იბრძოდა.

ცალკე უნდა აღვნიშნო ნანა იოსელიანთან შეხვედრა. ნანამ ისევე ადვილად მოიპოვა მეორე ადგილი, როგორც მე — პირველი. მან 2,5 ქულით გაუსწრო მესამე ადგილზე გასულ გიზელა ფიშტიკს. ჩვენ მეოთხე ტურში შევხვდით ერთმანეთს. შეიძლება ვთამაშობდით. მე შავი ფიგურები მერგო. მწვავე პარტია იყო, დაძაბული. ტურნირის ბედი ფაქტურად ჩვენმა შეხვედრამ გადაწყვიტა.

● თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით ტურნირის ზოგიერთი სხვა მონაწილეც გაგვაცანით.

— ჩვენს გარდა კიდევ ოთხი დიდოსტატი თამაშობდა — ალექსანდრა ვან დერ ვი, ლილი პოლიქრონიადე, ელიშკა კლიმოვა და ევა კარაკაში.

დანარჩენები ოსტატები იყვნენ ან ოსტატობის კანდიდატები. ჩემი ყურადღება ახალგაზრდა ესპანელმა ოსტატმა ლუიზა კუევასმა მიიპყრო. საინტერესოდ თამაშობდა, თუმცა მომზადება აკლდა.

თერთმეტი შეხვედრიდან მხოლოდ ორი დავამთავრე ყაიმით — გიზელა ფიშტიკთან და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ ელიშკა კლიმოვასთან. ფიშტიკს დიდოსტატის ერთი ბალი აქვს, თამაშობს

ოლიმპიურ ნაკრებში. მასთან შეხვედრაში ახლებური იდეა გამოვიყენე, პაიკი შევწირე და, როცა გაგრძელებებს ვითვლიდი, მეტოქემ ყაიმი შემომთავაზა. თუმცა შეწირულ პაიკში კარგ კომპენსაციას ვიღებდი, მაგრამ ფორსირებული ვარიანტები არ მქონდა, ამიტომ დავხავდი.

კლიმოვა ოცდახუთი წლის იქნება. იგი ბად-კისინგენის ზონალურ ტურნირში ლიდერობდა და ბოლოს ხელი რომ არ მოსცარვოდა საზონათშორისო ტურნირში გავიდოდა. ჩეხეთში იგი უდავოდ პირველი მოჭადრაკეა. ელიშკას ბოლო ტურნირში შევხვდი. მწვავე პოზიცია შეიქმნა. ჩვენმა პარტნიორმა მოულოდნელად ყაიმი შემომთავაზა. მე მოგება არ მჭირდებოდა, კონცენტრირება უცებ ვერ მოვახერხე და ყაიმზე შევთანხმდი.

ზოგიერთ პარტიამ კარგად ითამაშეს დასავლეთგერმანელმა მოჭადრაკეებმა ილფი იანუსმა და პეტრა ფოისტელმა, პოლანდიელმა ოსტატმა ჰელენა დე გრიფმა, თუმცა ისეთი კარგი შთაბეჭდილება მაინც ვერ დატოვეს, როგორც ზემოთ ჩამოთვლილმა მოჭადრაკეებმა.

● საერთოდ კმაყოფილი ბრძანდებით ტურნირში მონაწილეობით, რეგლამენტით?

— წესი ახალი — ექვსსაათიანი რეგლამენტი შემოიღეს, ორ-ორი საათი ეძლეოდა თითოეულ მოჭადრაკეს ოც სვლაზე და თითო საათი — შემდეგ ოც სვლაზე. ეს დრო საესებით საკმარისი იყო. დღის ორ საათზე ვიწყებდით თამაშს და რვაზე ვამთავრებდით. კარგი რეგლამენტი, პარტიების გადადება არ გვიხდებოდა. საერთოდ ძალიან კმაყოფილი ვარ.

მასპინძლები დიდი გულისხმიერებითა და პატივისცემით გვეპყრობოდნენ. იერში ჩასვლისას საელჩოს წარმომადგენელი დავხვდეთ, მოგვითავსეს კომფორტაბელურ სასტუმროებში, შეჯიბრების მიმდინარეობას სისტემატურად აშუქებდა პრესა. საერთოდ, ძალიან კარგი სიტუაცია შეგვიქმნეს. ეს კი იყო, საშინლად გადაგვიანც ცხრა-საათიანმა მგზავრობამ მატარებლით პარიზიდან იერამდე და ასევე ტურნირის დაბრუნების შემდეგ — იერიდან პარიზამდე. ასე რომ, პარიზში მხოლოდ ეიფელის კოშკის დათვალიერება მოვასწარი.


დიდი მადლობა, გისურვებთ ახალ წარმატებებს.

ია მელიქიძე.

# ბაბარჯკეპულთა შთაბრძნავლ

ეროვნული


გიგლიოთი



შეჯიბრების ფრაგმენტები და კონკრეტული ფოტო — საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის მძღოლსანთა გუნდი, რომელმაც გუშინ პავლოვის ქუჩაზე გამართულ მძღოლსურ ესტაფეტაში საბურთალოს რაიონში მღებარე უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.



თბილისში გამართული სპორტული ღონისძიებების გვირგვინი იყო მონაწილეობა გვირგვინით შაჰაჰს უნდობი ჯარისკაცის საულაპი



პაროლის ჩემპიონატი, მოგახსენებთ, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული შეჯიბრებაა. სპორტული სეზონი იშვიათად თუ ჩაივლის ისე, რომ საქართველოს ათლეტებმა კონტინენტის პირველობის შედეგები არ ჩამოიტანონ. რა თქმა უნდა, გამონაკლისიც ხდება. მაგალითად, შარშანდევრობის არც ერთი ჩემპიონი არ გვეყოლია.

...და აი, ერთბაშად ორი ჩემპიონი — ლერი საბელიძე და ზაზა თურმანიძე. საბელიძემ ერთწლიანი შესვენების შემდეგ მეორედ მოიპოვა ევროპაში უძლიერესის სახელი, თურმანიძე კი ამ ტურნირის დებიუტანტი იყო.

იძლება ითქვას, მოულოდნელი იყო. ნაკრების მწვრთნელებს მძიმე წონაში ზომილი არჩევანი აქვთ — გობეკაძე, ხადარცევი, ზანგიევი, კომარტოვი... მაგრამ ბულგარეთში მაინც თურმანიძე წაიყვანეს, სპორტსმენი, რომელიც აქამდე მოზრდილთა საკატეგორიაში იბრძოდა, პრიზიორიც არ ყოფილა.

ბეკ ხადარცევი, საბელიძე... ექვსივენი სხვადასხვა წლების მსოფლიო ჩემპიონები არიან. დებიუტანტი ვიმეორებ, მხოლოდ თურმანიძე იყო.

სხვათა შორის, საბჭოთა გუნდის პირველი „ოქრო“ სწორედ თურმანიძემ მოუტანა. მძიმე წონაში სულ ცხრა მოქიდავე გამოვიდა. პირველი

## ჩემპიონატის აქტი

# ორნი კვარცხლ

მკითხველი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ თავისუფალ ჰილბრუნიკსა და ფალაგენბერგს, როგორც იცით, ბულგარეთის ქალაქ ველიკო-ტირნოვოში იასპარეზეს. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა, როგორც შარშანდევრობა, გუნდში საქართველოს ორი წარმომადგენელი შეიყვანეს. საბელიძემ კვლავ დაიბრუნა „თავისი ადგილი“ ქვემძიმე წონაში, მძიმეწონისანი დავით გობეკიშვილი კი „ამ პოსტზე“ თურმანიძემ შეცვალა.

ვიღებ ბულგარეთში გამართულ ორთაბრძოლაზე ვისუბრებდეთ, შარშანდევრობის ამბები გავიხსენოთ. შარშანდევრობის დიდი შეჯიბრების მიღმა დარჩა, არადა, 1985 წლის ტრიუმფის შემდეგ (მაშინ საბელიძემ ზედიზედ მოიგო ევროპის, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო ჩემპიონატები, მსოფლიო თასი) ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ასე უცბად დამთბობდა

„ლიდერის მისურს“. ყველაფერი ერთდერობა მარცხმა გადაწყვიტა — ორჯონიკიძეში, საკავშირო ჩემპიონატის ფინალში, ჩვენმა ფალაგენბერგმა ქულა წაგო შეხვედრა ტანკენტელ ასლან ხადარცევთან და დროებით „თამაშვარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდა. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ხადარცევი გაემგზავრა, საბელიძე კი მხოლოდ „შინაურულ“ ტურნირებში გამოდიოდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები. ლერი გულმოდგინედ და მოთმინებით ემზადებოდა ახალი „ნახტომისათვის“... თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — ახალი სპორტული სეზონის პირველი ოფიციალური შეჯიბრება — საბელიძემ ბრწყინვალედ, რომ იტყვიან, ცალი ხელით მოიგო. თუმცა ამჯერად მთავარ კონკურენტს არ შეხვედრია. საქმე ის არის, რომ ხადარცევი „ბრძოლის ველიდან“ გაეცალა მეტოქეს

— მძიმე წონაში გადავიდა. საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ივან იარაგანმა ლერის თბილისშივე გადასცა ბულგარეთში, ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი „ვიზა“. ასეთი რამ კი იშვიათად ხდება. მწვრთნელები დიდი შეჯიბრების წინ, როგორც წესი, სერიალულ გამოცდას უწყობენ სპორტსმენებს, ყველაზე ტიტულიანებსაც კი. ასეთი გამოცდა საბელიძის გარდა ნაკრების ყველა წევრმა გაიარა. საბელიძე თბილისის ტურნირის შემდეგ არც ერთ სხვა შეჯიბრებაზე არ გამოსულა, დანარჩენებმა კი ევროპის ჩემპიონატამდე ორ-სამ ტურნირში მოსინჯეს ძალა. ზაზა თურმანიძემ (მან თბილისის ტურნირზე III ადგილი დაიკავა), მაგალითად მინსკისა და ულან-ბატორის საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზა და ორივეჯერ გამარჯვა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ნაკრებში მისი გამოჩენა შე-

აი, რას ამბობს საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ მესტირიშვილი, რომელიც საბჭოთა გუნდს ბულგარეთში ახლდა: „თურმანიძე ერთადერთი დებიუტანტი იყო ნაკრებში. ზაზამ ყველაზე უკეთ ჩაატარა საკონტროლო ბრძოლები და ნაკრების ყველა მწვრთნელმა მას დაუჭირა მხარი. არჩევანი სწორი აღმოჩნდა, ჩვენმა ფალაგენბერგმა დაიკავა ნდობა — შესანიშნავად იჭიდავა ბულგარეთში. საერთოდ, ჩინებულად გამოვიდა მთელი ნაკრები. ერთი დეტალი: აქამდე ევროპის ჩემპიონატი ორჯერ (1978 და 1988 წლებში) ჩატარდა ბულგარეთში და მაშინდებმა ორივეჯერ გუნდური გამარჯვება მოიპოვეს. ამჯერად, ჩვენი გუნდის შემადგენლობა იმ ვარაუდით შეირჩა, რომ პირველი ადგილის მოპოვების ხრული გარანტია ყოფილიყო. დაუკვირდით შემადგენლობას: ბელგოდაზოვი, ისაევი, ფაძაევი, მოლოხიანი, მახარ-

ლი წრე: თურმანიძე ანგარიშით 4:0 ამარცხებს მასპინძელთა წარმომადგენელს, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორს ათანასოვს. მეორე წრე: ჩვენი ფალაგენი ახლა უკვე მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, უნგრელ ბალას ხვდებოდა. პირველი პერიოდი თურმანიძემ ხუთქულიანი უპირატესობით მოიგო, მეორეში კი ბალამ პასიურობისათვის მესამე გაფრთხილება მიიღო... და ბოლოს, ფინალური ბრძოლა ევროპის შარშანდევრობის ჩემპიონთან, მსოფლიო პირველობის პრიზიორთან შორისდევრთან (გდრ). აქაც „მზრალი“ ანგარიში — 6:0. თურმანიძემ სამივე მეტოქეს 15 ქულა აარაღო თვითონ კი არც ერთი ქულა არ დაუტოვა. ეს ფაქტი კარგად იხსენიება ჩვენი ფალაგენის აქტიური უპირატესობაზე.

ზაზა თურმანიძე: „რა თქმა უნდა, ყველა სპორტსმენი ფიქრობს ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა-





გამარჯვების დღის აღსანიშნავად


კვირისთვის გამოართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველმა პარტიულმა მდივანმა მოსწავლეობა 14 ოსტატი და 2 ოსტატობის კანდიდატი. მათ შორის იყო 16 წლის თბილისელი ოსტატი ლაშა ჯანაძე. ფინიშმდე ორი ტურით ადრე იგი ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა, მაგრამ ისევე იქონია თავი მისმა არადამაკმაყოფილებელმა გამძლეობამ, რის გამოც მან დასკვნით ვერ ტურში ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა. საბოლოოდ ლაშამ 7,5 ქულით

VIII-IX ადგილები გაიყო გამოცდილ ბელორუს ოსტატთან ა. რისკინთან ერთად. უნდა ითქვას, რომ ეს შედეგი ახალგაზრდა მოქალაქისთვის ურიგო არ არის. ტურნირში გაიმარჯვა ხარკოველმა ოსტატმა ა. შვიდერმა — 11,5 ქულა, II ადგილზე გვიდა მოსკოვის ჩემპიონი, ოსტატი ა. კუზნევი. ალექსანდრე გოკუჩავა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

დღევანდელი სამბულო ომბა (1941-1945) ბევრი ნიჭიერი აღმზრდელი სიცოცხლე შეიწირა. ფრონტზე დაიღუპა ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი, ოსტატი, მოქალაქე და საკადრეო კომპოზიტორი. საკმარისია ითქვას, რომ ლენინგრადის ბლოკადამ იმსხვერპლა ორი თორივე, მსოფლიოში სახელგანთქმული მოქალაქეები ალექსიტროიცი და ლენინდ კუბელი. ფაშისტურ გერმანიამ გამოაჩვენა შემდეგ საბჭოთა უფროსი გაზეთებში გაიხსნა საკადრეო განყოფილებები, განაზღვრა საკადრეო კონკურსები, უფროსის „მანმატი გ სსრ“ გამოცემა. სწორედ ამ უფროსში გამოქვეყნდა ომის შემდგომ პერიოდში შექმნილი პირველი ამოცანები და ეტიუდები. აღსანიშნავია, რომ ავტორებმა ზოგიერთი ფრონტზე ყოფნის დროს შეადგინეს. მკითხველებს ამოსახსენებლად ვთავაზობთ მოსკოველი ინჟინრის ა. ნემცოვის ნაწარმოებს, რომელშიც უფროსის მიერ გამოცხადებულ პირველ ომის შემდგომ წლიურ კონკურსში პრიზი დაიმსახურა.


ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო! გამარჯვების წელი და დღე — 1945 წლის 9 მაისი ოქროს ასობით ჩაიწერა მატანეში და მას ყოველ წელს ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა ხალხი. არაერთხელ ჩატარებულა ამ თარიღებისადმი მიძღვნილი კონკურსები კომპოზიციაშიც. ერთ-ერთი უკანასკნელი იყო გაზეთ „სოცეტკაია ტატარია“ მიერ მოწყობილი დიდი საკავშირო კონკურსის მრავალსლოანი ამოცანების შედგენასა და ამოხსნაში. ამ კონკურსში, რომელიც გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა, სპეციალური პრიზი დაიმსახურა თბილისელი პრობლემისტი რევაზ თავარიანის ხუთსლოანი ამოცანამ.

რ. თაბარიანი, 1985



შამათი 5 ხელაში  
1. ლე4 (მუქარით 2. კd8+ მდ7 3. ლb7+) მდ7 (ანალიტიკური მხოლავი სიმეტრიული ვარიანტი მიიღება 1...მდ7 2. ლf5+-ის შემდეგ) 2. ლd5+ მდ8 3. ...მდ7 3. კd8+ 3. ლe6! მd5+ 4. კc5+ და 5. კb6 X ან 3. ...მდ4 4. კd5+ და 5. კb6 X.

ა. ნაშტოვი, 1945



შამათი სამ ხელაში

კუკურკა —  
განსარიცხი მემკვიდრე

ქვეთავე ამ იღებს დახადება იყო მოვლენა, დიდი გამარჯვება: ერთადამან შეხვევს უნარი ჰიმალიის ყველა „რატათხიანი“ მწვერვალი დაიპყროს და აი, გამოიხდა ახეთი „გმირი-ზედადამიანი“ — იტალიელმა მთამსვლელმა რეინოლდო მენსონმა ჰიმალიის თოთხმეტი „საოცრებამწვერვალი“ დაიპყრო. რა უნდა მოხდეს ამის შემდეგ? ამით ხომ არ ამოიწურა ალპინიზმის შესაძლებლობანი?

დასავლეთში სერიოზულად დაფიქრდნენ ამაზე და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თოთხმეტი რვათასიანის დაპყრობით თანამედროვე ალპინიზმში თავისი განვითარების ერთი ეტაპი დაამთავრა. ახლა დღის წესრიგში შეიძლება დადგეს დროსი პრობლემა: ვინ უფრო სწრაფად (მოკლე დროში) დაფარავს რვათასიან მწვერვალს. მაგრამ ეს უნდა დადგინდეს მსაჯედისა და ქრონომეტრისტების თანდასწრებით. შეიძლება ახალი მარშრუტების შედგენა. სხვათა შორის, ასეთი გარკვეულად უფრო რეალური ჩანს. შეიძლება ისეთი რამის მოგონებაც, რაც ჯერ არავის განუხორციელებია: ვთქვათ, მწვერვალის ზამთრის პერიოდში დალაშქვრა, მარტო ასევე, ან ღამით ლაშქრობა...

მუდამ ხაზს უსვამს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ მენსონის ჰაყის საკმაოდ გავლენიანი და მდიდარი მფარველები და მას ორგანიზაციული პრობლემები არ აწუხებდნენ. მენსონის ნაცვლად სხვები ფიქრობენ, სადაც საკითხებს სხვები წყვეტენ. უკუჩქარას ახრით, თანამედროვე ალპინიზმში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ალტურვილობის ხარისხს. კეების რაციონის სწორად შერჩევას, რა თქმა უნდა, ტექნიკასაც, მაგრამ ამ საქმეში მთავარი მაინც ადამიანი მისი ორგანიზმი და მისი ფსიქიკა. სხვადასხვა სახის აღმზენები საშუალებები, მართალია, აქრობს დალოლობისა და შიშის გრძობას, მაგრამ მათი გამოყენება ლაშქრობის დროს უკუჩქარას მიზანშეწონილად არ მიაჩნია. მედიკამენტები, პოლონიელი მთამსვლელის აზრით, ადამიანის (ამ შემთხვევაში ალპინისტის) შესაძლებლობათა ზღვარის დადგენაში გვიშლის ხელს.

მენსონის ჰაყის დირსეული მედიკამენტები და გატარებული. ეს განსაკუთრებით ალპინისტის ერთი კუკურკა, რომელსაც „ვიციკრემიონის“ არაოფიციალური ტიტული უკვე მიაჩნდა. კუკურკამ ჰიმალიის ზოთხმეტი რვათასიანის დანთქმვა დაიპყრო. პოლონიელში ამ სახელოვანი მთამსვლელის წარმატება სავანებოდ აღნიშნეს: კუკურკა ხაზდარგარეთ მოაოგებულნი სპორტული გამარჯვებებისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური პრემიით დაჯილდოვდა. 39 წლის პოლონიელი ალპინისტი უახლოეს დროში ჰიმალიის მეთოთხმეტი რვათასიანსაც დაიპყრობს. კუკურკა იტალიელ კოლეგას დიდი მოწიფებით და პარტიის ცენტრით ეპყრობა, მის დასახურებებს მსოფლიო ალპინიზმის განვითარებაში

ერთ-ერთი ინტერესული იტალიელი უფროსის ტიტულიან კუკურკამ ასე დაამთავრა: — ვერ ვიტყვი, რომ შიშის გრძობა არ განმეცდია. შიშის ადამიანის მუდმივი თანამგზავრია მთებში ხეტიალის დროს. ამავლე დროს, იგი ჩვენი შესაძლებლობების გარკვეულ მუხრუქსაც წარმოადგენს. მაგრამ შიშის დამლევა წამლების გარეშეც შეიძლება. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ასეულის ტექნიკა დაიხვეწოს. გახსოვდეთ, რომ მთამსვლელები ჩვეულებრივი ხალხია და არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არ არის.

ამერიკელთა  
განსარიცხი  
ლაშქრობა

ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაციამ ამას უნდათ ოფიციალური განაცხადი გაუგზავნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, სადაც სურვილს გამოთქვამს უმასპინძლოს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ამჟამად 4 ოფიციალური განაცხადია შეტანილი 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე ბრაზილიის, ჩილეს, მაროკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაციებიდან.

როგორია „რანგ-ლისტი“?

როგორია საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა თანამედროვეობის უძლიერესი როგორც ფეხბურთის უახლოესი „რანგ-ლისტი“ (ძალთა შედარებითი ნუსხა).  
ვაგები: 1. ლენდი (ჩეხოსლოვაკია); 2. ბეკერი (გფრ); 3. ელბერგი; 4. ვილანდერი (ორივე — შვეიცია); 5. მეჩირი (ჩეხოსლოვაკია); 6. ნოა; 7. ლეკონტი (ორივე — საფრანგეთი).

8. მაკინროუ; 9. კონორსი; 10. მიოტე (სამივე — აშშ).  
ქალები: 1. ნაერტილოვა (აშშ); 2. გრაფი (გფრ); 3. ევერტ-ლოიდი (აშშ); 4. მანდლიოკოვა 5. სუკოვა (ორივე — ჩეხოსლოვაკია); 6. შრი-ივერი; 7. პარისონი (ორივე — აშშ); 8. მალევეა (ბულგარეთი); 9. საბატინი (არგენტინა); 10. კოდე (გფრ).

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 3 მაისს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-18 ტარაქებისა.  
„სპორტლოტო 6 45“-იდან: გაიყიდა 839436 ბარათი.  
ექვსი ციფრი ვერაგინ გამოიწერა,

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ბარათი) მოგება 3436 მანეთია, ოთხისთვის (1725) — 43, სამისთვის (34017) — 3.  
„სპორტლოტო 5 86“-იდან: გაიყიდა 7873269 ბარათი.  
ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (18 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4087) — 206, სამისთვის (167187) — 8.

„სპორტლოტო“  
ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა მე-17 ტარაქის შედეგები, რომელშიც 1987 წლის 25-26 აპრილს გაიმართა.  
ტირაჟში დაშვებული იყო 11.485.188 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (5) მოგება 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (224) — 1.547 მან. 11 შედეგის გამოცნობისთვის (3.947) — 336 მან.  
მე-17 ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 19 მაისიდან — 9 ივნისამდე.

რედაქტორი  
თ. ბახჩილაძე

სპორტის სანახლე

10 მაისიდან გიწვევთ „ქანთოთ-ელმოსის ზონაში“.  
9-დან 21 საათამდე აქ იმუშავენ ბრეიკ-დანსის, მძლეოსნობის, ათლეტიზმის, ჩოგბურთის, ბაგდის ჩოგბურთის სექციები, პავილის გადამალვაში და სიმძიმეების აწევაში მოგარეშეთა ჯგუფები.  
მოზრძანდით, ივარჯიშეთ, გააქვით, გაჯანსაღდით.

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელო კომიტეტი, საქართველოს სსრ სპორტსახელო და განათლების სამინისტრო, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სპორტული ტანვარჯის ფედერაციები, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 89 წლისა გარდაიცვალა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველო კატეგორიის მხაჩი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული მანწავლებელი, შრომის ვეტერანი, საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილე, პერსონალური აქვსიონერი, სკკპ წევრი  
გიორგი ნოზარევიანის ქმ მარკვილაძე  
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და და ახლობლებს.

ამიუსიული  
გაზეთი

ამ დღეებში „ლელომ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, იუგოსლავიის კლასიკური თელ ვითა ჩემპიონატის ხენსაცურთი ფინიშის, კერძოდ, ახ. პარეზოზაში ზაგრების „ციბონას“ მოულოდნელი წარმატებლობის შესახებ.

გვიანტერენებს როგორ წარამართა ტურნირი, რა პირობებში დაკარგა „ციბონამ“ ლიდერობა.

ბ. ციხაკაიშვილი, ნ. ინსა-რიძე, მ. შანიალიძე, ბ. ციხაკაიშვილი.

სანსაციური  
ფინიში

კალათბურთში იუგოსლავიის ჩემპიონატის ფინიში მოულოდნელობით აღსავსე აღმოჩნდა; ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტს, ზაგრების „ციბონას“ ხელი მოეცა. აღსანიშნავია, რომ „ციბონას“ ზედმეტი ორი სეზონია ქვეყნის ჩემპიონატში მარცხდება.  
12 გუნდი ორ წრედ ასპარეზობაში არყვეს იმ 8 უძლიერესი კლუბის ვინაობას, რომლებიც შემდეგ ოლიმპიური სისტემის (პლეიოფ) განაგრძობენ ბრძოლას ჩემპიონის ტიტულისათვის.

ეს რვა უძლიერესი გუნდი აღმოჩნდა „ციბონა“, „პარტიზანი“, „იუგოსლავია“, „ცრვენა ზეზლა“, „ბონას“, „ნიბენკა“, „ზადარი“, „ბუნდუნოსტი“. მეოთხედ-ფინალის დიდი მოულოდნელობა, რასაკვირველია, ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონის „ზადარის“ წარუმატებლობა იყო, მაგრამ ჩემპიონატის მთავარი სენსაცია, ეს არ განხლდა.

ნახევარფინალში ასპარეზობა განაგრძეს ზაგრების „ციბონამ“, ბელგრადის „ცრვენა ზეზლამ“ და „პარტიზანმა“, სარაევოს „ბონსამ“. პირველი მატჩი „ცრვენა ზეზლასთან“ „ციბონამ“ ზაგრებში დამამარცხებელი ანგარიშით მოიგო — 92:74. დ. პეტროვიჩმა გუნდს 31 ქულა შესძინა. განმეორებით მატჩში „ცრვენა ზეზლამ“ შეძლო „ციბონას“ სწრაფობის — დ. პეტროვიჩის (20 ქულა), ა. პეტროვიჩის (14), ზ. ჩუტურას (18) ნეიტრალიზება და ძველი გამარჯვება მოიპოვა — 94:92. მესამე გადამწყვეტი მატჩი ზაგრებში „ციბონას“ ცუდს არაფერს უქადა. პირველი ტაიმი გუნდმა დამაჯერებელი ანგარიშით მოიგო — 59:47. შესაძლოა მასპინძლებმა თამაში

მოგებულად ჩათვალეს და ყურადღება მოაღუნეს. ბრწყინვალედ მოთამაშე დ. პეტროვიჩი (48 ქულა) ნაკლებად გრძობდა პარტიზანების მხარდკერას. „ცრვენა ზეზლამ“ გარდატეხა შეიტანა თამაშში. პირველივე კარგად ითამაშა (30 ქულა). და ანგარიშით 104:103 „ცრვენა ზეზლამ“ გაიმარჯვა. ბელგრადის „პარტიზანმა“ დაამარცხა სერაევოს „ბონსა“ — 85:77 და 107:96.

სუპერფინალში „პარტიზანმა“ ორივე მატჩი მოუგო „ცრვენა ზეზლას“, პირველი ტაიმი „პარტიზანმა“ 35:41 წააგო, მაგრამ საბოლოოდ მაინც „პარტიზანმა“ გაიმარჯვა — 78:73. გამარჯვებული გუნდს ყველაზე შედეგითი მთამაშე იყო სეროვიჩი (25 ქულა). მეორე მატჩი, როგორც კ. ჩოსიჩმა აღნიშნა, „განსაკუთრებით დრამატული და ფანტასტიკური“ გამოდგა, ამაში ანგარიში გვარჯობენ — 89:88 (48:54) „პარტიზანის“ სასარგებლოდ. გადამწყვეტი ბურთი მატჩის ბოლო წამს ჩააგლო გრბოვიჩმა, რომელიც გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო (28 ქულა). ბელგრადის „პარტიზანი“ იუგოსლავიის ჩემპიონი გახდა. ეს გუნდი ამ წლებსა უკანასკნელად 1982 წელს ფლობდა.  
მხარბე კალანდარიძე.